



# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 149

2018 წ. "07" 29

ქ. თბილისი

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი "ფაზისისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30<sup>1</sup>-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

### საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ "ფაზისს" (ს/კ:215101716) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	თმის მომსახურება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 080396	61	76	ქართული	10	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54

2	თმის მომსახურება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 080396	61	76	ქართული	10	ხოზის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი
3	საოფისე საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
4	სასტუმრო მომსახურება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 112069	86	116	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
5	საფინანსო სერვისები (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში 020456	51	66	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54
6	შედუღება (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 041274	38	53	ქართული	15	ქ. ფოთი კონსტიტუციის ქ. №54

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №15 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე  
კარლო კერვალიშვილი

მდივანი  
ანასტასია ქიტიაშვილი